

საპრესბიურო

საქართველო
საინფორმაციო

საპრესბიურო

სამაგაბათი 1 აპრილი 2000 №145 (1167)

ფასი 50 თეთრი

ესენი 306 პრესიანი?!

საპრესბიუროს
დაუბრუნებელი
ოლიმპიადის
შესაძლებლობას
მხრებზე
მოკლავს
საპრესბიუროს
სტატუსი მიენიჭოს

სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად ჩვენს საპრესბიუროს ფინანსური დახმარება ამ გაზაფხულზე, არჩევნებამდე თავად საქართველოს პრეზიდენტმა ალუთქვა, მაგრამ...

საქმეს ისეთი პირი უჩანს, სიდნეის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნისას საქართველოს ჯეგლეგაცია მთელი მსოფლიოს თვალნიშნად შერაცხება. არადა, ამის ღირსი არც საქართველოა, არც ჩვენი ოლიმპიელები და არც მათი კობცა სამოსი, რითაც ჩვენებურები სიდნეის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე 200 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად უნდა წარდგნენ.

ჩვენი ოლიმპიელების სააღლუმო სამოსი რომ მართლაც კობცა და ლაზათიანია, ამაში ალბათ „სარბიელის“ მკითხველიც დარწმუნდა, როცა პარიზული ფირმა „პიერ ბალმანის“ ესკიზების საგაზეთო პრეზენტაცია მოვანყვეთ. თუმცა, შესაძლოა ეს ესკიზები ესკიზებად დარჩეს, რადგან საქმე იქით მიდის, რომ „პიერ ბალმანს“ ჩვენი მხარე ფულს ვერ გადაურიცხავს. და თუ მაინც გადაურიცხავს, დაგვიანებით, რამაც პარიზელ თერძებს დაკვეთის შესრულებაზე შესაძლოა ხელი ააღებინოს.

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ამ სამოსის შესაკერი თანხა, 75 000 ლარი, მთავრობისგან გრაფიკით 24 ივლისს უნდა მიეღო, მაგრამ...

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შესული თანხების განმანალიზებელმა კომისიამ ეს ფული ვერც გუშინდელ სხდომაზე გამოყო და იოლი შესაძლებელია, „პიერ ბალმანთან“ შეთანხმება ჩაიშალოს. აქედან გამომდინარე, ჩვენს საპრესბიუროს სიდნეის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე მრავალმილიონიანი ტელეაუდიტორია ჭრელა-ჭრულა ძველმანებში იხილავს და საბრალო ქართველი ოლიმპიელები ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე ლაფში ამოისვრებიან.

ამთხანდელ ბურსაშვილი

სრვენამ ტორკედო ორმაგად აზარალა ჩემპიონთა მფრთხელ-ფანსურთალებს ერთი თვის ხელფასი დაეკვირვათ

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე იუგოსლავიურ „ცრვენა ზეზდასთან“ 0:4 დამარცხება საქართველოს ჩემპიონს ორმაგად ძვირი დაუჯდა. აქამდე „დინამოსთვის“ დაუძლეველი რუბიკონი ხომ ვერც ქუთაისელებმა მოიტოვეს უკან და ლიგაში მოხვედრაზე მკვდრად მოხილვას საგრძნობი ფინანსური დანაკარგიც გადააყლეს. კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს ერთი თვის ხელფასი დაუკავა. ამის თაობაზე ოფიციალურად

დღეს ეცნობება, როცა პრეზიდენტი მიხეილ ქორქია ქუთაისს ჩავა. რამდენად დაეტყობა ტორკედოელთა მორალურ მზადყოფნას მატერიალური ზარალი, ამას ქუთაისში ხვალ გასამართი საპასუხო მატჩი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონი ქომავთა თვალში სარეაბილიტაციოდ, პრესტიჟის გამარჯვებას გეგმავს და ამის მოწინააღმდეგე ვერც არც ხუთ დღეში კიველებთან სათამაშოდ თავდაზოვილი იუგოსლავიელები გამოდგნენ. „ტორკედოს“ მეტოქე, რომელიც

ახლა უკვე უპირობოდ შეგვიძლია კიევის „დინამოს“ მეტოქედაც მოვიხსენიოთ, ქუთაისს დღეს კოპიტნარის აეროპორტში ჩამოფრინდება და წყალტუბოში თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში დაბინავდება. იუგოსლავიელებმა ქუთაისს ფაქსი აფრინეს 82-კაციანი დელეგაციით მოვიდნათ. აქედან 25 ფეხბურთელია, 16 კლუბის ხელმძღვანელი, მწვრთნელი და სხვა დამხმარე პერსონალი, დანარჩენი კი რეპორტიორი. ყოველ შემთხვევაში, ასე მო-

უწერიათ ბელგრადული კლუბიდან. საქართველოში გამომგზავრებამდე, უკეთ კი შაბათს ანუ „ტორკედოდან“ „ტორკედომდე“ „ცრვენა ზეზდამ“ კიდევ ერთი მატჩი, ამჯერად ამხანაგური გამართა. „ცრვენა“ ბელგრადისკენ „ჰაიდუკს“ ესტუმრა და ვლადისლავ მირკოვიჩის და სამა ზორიჩის გოლებით 2:1 დამარცხა. ზვალინდელი მატჩი 20 საათზე დაიწყება.

მანხანა ბზიბაძე




ბრაზილიის ჰიბენი ფერარისთვის რუბენს ბარიკალოს ცრემლიანი ტრიუმფი



„პოკენპაირინგზე“ რუბენს ბარიკალოს ტრიუმფს მოსიხსნელ „მაკლარენის“ პილოტებიც თუ ასე გულთბილად შეხვდებოდნენ, ამას ვინ წარმოიდგენდა. არადა, ბრაზილიელმა კარიერაში პირველი გამარჯვებით „ვერცხლისფერ ისრებს“ მორიგი დუბლი ჩაუშალა და პილოტ-გუნდურ პირველობაში დანინაურება არ დაანება. 28 წლის რუბენი ამით ერთბაშად რამდენიმე კურდღელი დაიჭირა — ლიდერობის პირველად დაკარგვას „ფერარიც“ გადაარჩინა და მიხეილ შუმახერიც, თავად კი ნანვიმარზე მიხხალი შეცდომაც არ დაუშვია და ურთულეს პირობებში ფანტასტიკური რბოლის მოგება შეძლო. ზედა ფოტოზე ის მომენტია აღბეჭდილი, როცა მიკა შაინენმა და დევიდ კულპარდმა ტრიუმფატორი მხრებზე შეისვეს და ასე მიულოცეს ნარმატება. ორიოდ ნუთით ადრე კი უსაზღვროდ ბედნიერი რუბენსი მშობლიური ჰიბენის მოსმენისას ბავშვივით ქვითინებდა. მთავარი ფერარელი და ჯერაც ჩემპიონატის ლიდერი მიხეილ შუმახერი ზედიზედ მეორედ დასაწყისშივე გამოეთიშა რბოლას ავარიის გამო. ამჯერად შუმის ცოდვა იტალიელმა ჯანკარლო ფიზიკელამ დაიდო.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



მიხეილ შუმახერისა (წინ) და ჯანკარლო ფიზიკელას შეჯახებით რუბენს ბარიკალომ იხიერა

REUTERS პოკენპაირინგიდან

ბონეტის რევოლუციური ნაბიჯი პირველი, სამშულიანი

შოტლანდია

I ტური

დანდი იუნაიტედი 1:2 სელტიკი

0:1 ლარსონი (37), 1:1 მაკკარქენი (48), 1:2 სატონი (66)

პარტისი 0:0 ჰიბერნიანი

რინგდორსი 2:1 სენტ ჯონსტონი

0:1 კერნაგენი (14), 1:1, 2:1 დოდსი (55, 57)

მოხარული 0:2 დანდი

0:1 ბილილი (8), 0:2 არტერი (86)

დანდი: დუგლასი, სმიტი, ტვიდი, დე მარკი, მარკო, არტერი, ნემსაძე, ბონეტი, ბილილი, კაბალიერო (ფალკონერი 82), სარა (მაკსკიმინგი 54)

დანდისგან 0:0 აბერდინი

სენტ მირენი 0:1 კილმარნოკი

0:1 პოლტი (72)

ბონეტის რევოლუციური ნაბიჯი პირველი სამშულიანი...

სმის რაც შეეხება ჩემს გოლს, ვაღიარებ, რომ კარიერაში ასე ლამაზად ვერ არ გამოიტანია — თქვა არტერი...

ბოლო 12 წელიწადში 11-ჯერ გამარჯვებულ „რინგდორსს“, ჯამში 50-ე ჩემპიონობისთვის რომ ემზადება...

პასით დოდსმა მეორეც შეაგლო. ასეთივე ანგარიშით, ოდნოდ სტუმრად, მოიგო „სელტიკმა“...

ანგარიში სწორედ ლარსონმა გახსნა 18 მეტრიდან ცაცია დარტემით...

გიგა კოხანისძე


Table with columns for team names and statistics: დანდი, რინგდორსი, სელტიკი, კილმარნოკი, პარტისი, ჰიბერნიანი, აბერდინი, დანდისგან, სენტ მირენი, სენტ ჯონსტონი, მოხარული

ფენი არ აუშვას!

ინგლისი

ბიჭებმა ბევრი იმუშავეს და დამანახეს, რომ სათანადო ფორმაში არიან...

ნი, ბაბაირო, ლამპურდი, ტომე, მელბიოტი, პოიტი, სტანჩი, დი მატეო, მორისი...



მოხარული — დანდი 0:2. მწვრთნელ ივანო ბონეტის გაძევების შემდეგ გუნდის გაძლოლა ნემსაძემ ითავა

სულ რაღას 24 საათში...

დან პეტრესკუმ, ამიერიდან ბრედფორდელთა 32 წლის მცველმა „ჩელსი“ დატოვა და ახალ კლუბთან...

დანი პეტრესკუ ამიერიდან ჩვენი კლუბის ღირსებას დაიცავს. იგი გამოცდილია, სწორედ ის ფეხბურთელია...

ერთი წამყვანი მოთამაშეა, მას ინგლისში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს...

ახალი

აი, ახალი ფორმა. აი, ახალი ცოლი. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ემანუელ პეტი ბარსელონას „კამპ ნოუსე“ დგას თავის ახალ ცოლთან, აგატა დელა ფონტეინთან ერთად. ახალი ფორმა, ახალი ცოლი, ახალი სახლი, ახალი გუნდი... „ჰაიბერი“ კი უკვე შორსაა.


REUTERS ბარსელონიდან



როდმანის წახდენა

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა დენის როდმანმა, ბოლოს მაინც სახალხო შოუს, ვირული ჭიდაობის ცირკს მიაღება. ამ ნაღდ შოუსი როდმანი ავსტრალიაში ჩაერთო და გვარიანადაც იგვემა ზორბა კურტ ჰენინგის მიერ. როდმანს შოუსი რინგგარეთა გამბრაზებლის როლი ჰქონდა და იმდენი იწინლაგა, ისიც და ჰენინგიც რინგიდან მიაბრძანეს.


REUTERS სიდნეიდან



უკვდავყოფილნი

ოჰაიოში, ამერიკული ბურთაობის დიდების დარბაზში ახალი ქანდაკებები გაჩნდა. ბურთაობის ერთგული ლიგის გუშინდელი დიადნი: ჯო მონტანა, ჰაუი ლონგი, დენ რუნი, რონი ლოტი და დეივ ვილგოქსი უკვდავყოფილნი იწონებენ თავს.

გაურობა გაუკლო



REUTERS ბუენოს აირესიდან

გაურობა ფესტივალი არგენტინაში ბარე ასი ნელინადია ტარდება და მსოფლიო ტურისტულ ზღვას ისრუტავს ხოლმე. ძველ არგენტინელ მეცხვარეთა შთამომავალნი ყოველი ზამთრის (იქ ახლ ზამთარია) მიწურულს საცხენოსნო და სახედნაო — ოსტატობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ასმეთობმეტე გაუჩო შოუ ამგვარი სურათებითაც ხშირად ამდიდრებს ტურისტულ ალბომს.

ქორნილაგდა დააპინყდა

ვალოსიაში ცაში ქრიალი და ათასგვარი ილეუების კეთება იმ ახალგაზრდა სახეობათა რიგს განეკუთვნება, დასავლეთში „იქსტრიმ გეიმზს“ რომ უწოდებენ. ეს, რისკიანი, მაგრამ თინეიჯერთა საყვარელი სპორტებია. კალიფორნიის ჰანეინგტონ ბიჩზე ტრაგედიები ხშირია. აგე, ამ ცაში გამოკიდებული 15 წლის ბიჭს, ჯინათან გრინსაც ფარსავი საქმე მოუხდა, ჰაერში ტრიალისას საკუთარ ველოსიპედს მოსწყდა და ბეჭი ამოიგდო. დაშავებულმა თქვა, კარგი გაკვეთილი იყო ჩემთვის, ანუ მეტი ყურადღებით ვივარჯიშებო.



სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოთაძე
დირექტორი გიორგი ივანიშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე
რედაქტორი სოლომონ გულიანაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობორაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კობა ინასარიძე,
მაშუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება

გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქრო-პირიძე ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე კალათბურთის განყოფილება გიო ანულოვანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კვიციანი სტილისტები მარია აბოიანიძე, ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომწვეები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი — 79, საზოგადოებრივი
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@iberiapac.ge
ელექტრონული ვებ-გვერდი
<http://www.sarbieri.com.ge>